*დანართი №2*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*(სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლა)*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: მაკა ნადარეიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

**წევრები:**
ანა კვიჟინაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი
ირმა ქურდაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი
თამილა თამაზაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი
ნინო ბურჯანაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი
ინგა ხრიკაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი
ნათია გაგნიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი
ირინე ჯანაშია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი
ლალი აბულაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი
მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი
შორენა კაკაბაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი კალაურის საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | სსიპ |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 227752759 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი კალაური |
| იურიდიული მისამართი | გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი კალაური |
| ფაქტობრივი მისამართი | გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი კალაური |
| საფოსტო ინდექსი | 1500 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | skolebi.emis.ge/ - კალაურის საჯარო სკოლა |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | kalauri@mes.gov.ge |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

| | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 577944702 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 5 23 0001087441 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 9 და 10 ოქტომბერი 2023 |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| **N** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, |
|---|---|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------
-------------------------
-------------------------

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კალაური |
| | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კალაური |
| | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კალაური |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 9 და 10 ოქტომბერს **სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტ სოფელ კალაურის საჯარო სკოლაში** განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა, ვიზიტის წარმართვისთვის, შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------
-------------------------
-------------------------

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.
ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს, მულტიდისციპლინური გუნდის წევრს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან,
ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფისა) დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები.
ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს ზოგიერთი საკითხი. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| - | - | - |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

-

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | **☐ შესაბამება**<br>**☐ მეტწილად შესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

| | |
|---|---|
| კომპონენტი 3.3<br>პროცესების მართვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.4<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.5<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.6<br>საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.7<br>ფინანსური რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4<br>მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| კომპონენტი 4.1<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 4.2 | ☐ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

| | |
|---|---|
| მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა:<br>--------------<br>450 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br>☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br>☐ | |

## III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი ....* | | .............. |
| - | - | - |
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| - | - | - |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| - | - | - |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | *ხარვეზი* |
| - | - | - |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

*1* გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

| სტანდარტი 1 | სკოლის ფილოსოფია | სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია |
|---|---|---|
| - | - | - |
| სტანდარტი 3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| ინდიკატორი N3.4.1.1. | **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას** | სკოლამ უზრუნველყოს:<br>ა) ექიმის კაბინეტში სივრცისგან გამყოფი ბარიერის დაგმა / დამონტაჟება;<br>ბ) შენობა-ნაგებობის, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება;<br>გ) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის ორგანოსთან ;<br>დ) შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე დასკვნის მოპოვება |
| ინდიკატორი N3.6.3.5. | **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ:** მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია | სკოლამ უზრუნველყოს:<br>ა) ვებ-გვერდზე ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაციის სრულად ასახვა |
| სტანდარტი 4 | მოსწავლეთა მხარდაჭერა | სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია |
| - | - | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| - | - | - |

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| **-** | - | - |
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი 3.4.1.1.* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას | **სასურველია სკოლამ** აიყვანოს შრომის უსაფრთოების სპეციალისტი |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| - | - | - |

| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური) | *რჩევა* |
|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------
-------------------------
-------------------------

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.1.2.3. | **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს** | **ესთეტიკური აღზრდის, მუსიკის მიმართულებით:** ეროვნულ სასწავლო გეგმაში დაწყებით საფეხურზე საგნისთვის მუსიკა, განსაზღვრულია ერთი სამიზნე ცნება რაც, საგნის სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს. შესაბამისად სკოლამ დააზუსტოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცნების რაოდენობა. |
| *ინდიკატორი N2.2.2.4* | **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;** | **სპორტის მიმართულებით პედაგოგებს მიეცათ რჩევა: სპორტის მიმართულებით პედაგოგებს მიეცათ რჩევა:** ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის დახვეწის მიზნით, კათედრამ შეიმუშავოს მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, მაგალითად, სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმენტებიდან ერთ-ერთი. |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>(საბაზო საფეხური) | *რჩევა* |
| ინდიკატორი N2.2.2.4 | **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;** | **სპორტის მიმართულებით პედაგოგებს მიეცათ რჩევა:** ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის დახვეწის მიზნით, კათედრამ შეიმუშავოს მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, მაგალითად, სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმენტებიდან ერთ-ერთი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
-----------------------
-----------------------

| *სტანდარტი 2* | *სასკოლო კურიკულუმი* (საშუალო საფეხური) | *რჩევა* |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.1.2.2 | **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)** | **მათემატიკის კათედრას მიეცა რჩევა;** საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში გაიწეროს 2023-24 სასწავლო წლისთვის განსახორციელებელი აქტივობები (პროექტები, კომპლექსური დავალებები, საკლუბო და საწრეო სამუშაო...) რომლებიც გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) უფრო მეტად განვითარებაზე იქნება ორიენტირებული |
| ინდიკატორი N2.2.2.4 | **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი** | **სპორტის მიმართულებით პედაგოგებს მიეცათ რჩევა: სპორტის მიმართულებით პედაგოგებს მიეცათ რჩევა:** ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის დახვეწის მიზნით, კათედრამ შეიმუშავოს მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, მაგალითად, სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმენტებიდან ერთ-ერთი. |

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

--

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

**სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმისა და მტკიცებულებების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და შეფასების მიხედვით, დახარვეზებული კრიტერიუმები შეფასდა სრულ ან მეტწილად შესაბამისად,** კერძოდ, შემდეგი ინდიკატორები შეფასდა სრულად შესაბამისად:

**N2.1.1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას** - არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია. აღნიშნულ დოკუმნეტში აღწერილია თუ რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. კურიკულუმის დაგეგმვის მეთოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმი იქმნება სწავლების სამივე საფეხურზე და მოიცავს, საგნობირ კურიკულუმებს, საგნობრივ პროექტებს, სადამრიგებლო საათს და დამატებით საგანმანათელბლო მომსახურებას. დოკუმენტი ასევე მოიცავს კურიკულუმის განვითარების ეტაპებს, სადაც უშუალოთ იკვეთება სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტების შეწავლა. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან საგნობრივი კათედრები, მასწავლებლები, სკოლის დირექცია, ხოლო შემუშავებული კურიკულუმების შეთანხმება ხდება სასკოლო საზოგადოებასთან. კურიკულუმის რევიზიის მიზნით,სკოლა იყენებს მოსწავლეთა შეგეგებს, მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულბით განხორციელებულ, სხვადასხვა პროექტის ანგარიშებს, კათედრების მუშაობის ანგარიშებსა და სხვა.

**N3.1.2.3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით** - არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც მას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც ასახულია მასწავლებლისა და სპეც. პედაგოგის ასევე სხვა თანამშრომლის აყვანის წესი. ასევე წარმოდგენილი აქვს თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელშიც გაკეთებულია ჩანაწერი პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენებისა და გავრჩელების შესახებ.

**ხოლო შემდეგი ინდიკატორები მეტწილად შესაბამისია, რადგან სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნული საკითხების შესასრულებლად განსაზღვრულია ვადები და შესრულების პროცესშია. კერძოდ,**

**N3.4.1.1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას** - არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას სკოლამ წარმოადგინა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც **ა.** სკოლას გამოცხადებული აქვს სატენდერო განაცხადი, ექიმის კაბინეტში ძირითადი სივრცისგან გამყოფი ბარიერის შესაძენად. **ბ.** სკოლამ წარმოადგინა სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება, საგანგებო მართვის სამსახურისა და სსიპ სახემწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთვის მიწერილი წერილი. აღნიშნულ წერილში სკოლა შესაბამის უწყებებს უგზავნის სკოლის შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის პროექტსა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას შესათანხმებლად. **გ.** სკოლამ წარმოადგინა შპს „სამეცნიერი-საპროექტო საწარმოო ინდუსტრია“ მიერ სკოლის შენობის სტრუქტურული შეფასების 2019 წლის ანგარიში, რომელშიც მოცემულია ის სამუშაოები რომლებიც უნდა ჩაუტარდეს სკოლას საერაბილიტაციოდ. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს 2022 წლის 14 დეკემბერს ქონების/ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტი. რომლის მიხედვითაც სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა 2021 წელს. დოკუმენტის მიხედვით სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულებულია არსებული პროექტის ხარისხის მოთხოვნათა შესაბამისად. **დ.** სკოლამ წარმოადგინა სახანძრო-საგანგაშო უსაფრთხოების დასკვნის პროექტი, მისი შერულების თარიღები განსაზღვრულია შესაბამისობის გეგმაში (31.10.2023 – 20.12.2023); **N*.3.6.3.5.* ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია.** არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს სკოლის ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, ხოლო ვებ-გვერდზე უკვე ატვირთულია შემდეგი მასალა - სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

**1. სკოლის ფილოსოფია**

**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**

1.1.1. **სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს** - სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების მიზნებსა და თანამედროვე მოთხოვნებს. კერძოდ, სკოლის მისიაა: მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება, მათთვის ხარისხიანი განათლების მიცემა და XXI საუკუნის უნარჩვევებით აღჭურვა, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ კანონმორჩილ, ტოლერანტ, გლობალურად მოაზროვნე, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანებად, რომლებიც შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას და იბრძოლებენ და იშრომებენ მსოფლიოს უკეთესობისკენ შესაცვლელად. ხედვა: უნივერსალური დიზაინის პრინციპების დანერგვა: ყველა მოსწავლეზე ორიენტირებული უსაფრთხო და კონკურენტული გარემოს შექმნა მასწავლებელთა მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა კათედრების მუშაობის გაძლიერება თანამშრომლობითი, მოსწავლეზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს შექმნა არაფორმალური განათლების გაძლიერება პანდემიისაგან გამოწვეული ხარვეზების აღმოფხვრა. მშობელთა ჩართულობის გააქტიურება თვითმართველობის აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა. ხოლო სკოლის ხედვაა: ხედვა: უნივერსალური დიზაინის პრინციპების დანერგვა: ყველა მოსწავლეზე ორიენტირებული უსაფრთხო და კონკურენტული გარემოს შექმნა მასწავლებელთა მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა კათედრების მუშაობის გაძლიერება თანამშრომლობითი, მოსწავლეზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს შექმნა არაფორმალური განათლების გაძლიერება პანდემიისაგან გამოწვეული ხარვეზების აღმოფხვრა. მშობელთა ჩართულობის გააქტიურება თვითმართველობის აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა. **ინდიკატორი შესაბამისია**;
**2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს** - სკოლა მისიაში ცალსახად განსაზღვრავს საკუთარ როლს, მიიჩნევს რომ მისი ვალია მოსწავლეთა ინტერესების გამოვლენა და მათთვის ხარისხიანი განათლების მიწოდება, მოსწავლის XXI საუკუნის უნარჩვევებით აღჭურვა. მისიას ამყარებს სკოლის ხედვა, და სწორედ ამ მიმართლებით ის გეგმავს უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, რათა ყველა მოსწავლისათვის იყოს ხელმისაწვდომი და ამავე დროს უსაფრთხო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

სოციო-კულტურული სივრცე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია;**

**3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით** - აღნიშნულის მტიკიცებულებად შეიძლება მივიჩნიოთ სამეურვეო საბჭოს ჩართულობა, სასკოლო ცხოვრებაში, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებები და ა.შ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია;**

**4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ** - სკოლის მისია, ხედვა ღირებულებების გაზიარებას მოწმობს სკოლის ჰოლში გამოკრული სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაცია, მისია, შინაგანაწესი, სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარებული მშობელთა კრებებს და ა.შ. წარმოდგენილი დოკუმნეტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, ინდიკატორი შესაბამისია;

**5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი** - სკოლის მისია და ხედვა მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმა კი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირთათვის, ის განთავსებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაცია ხვდება სასკოლო საზოგადოებას და აცნობს მას მისიას, ხედვას, სასკოლო გეგმას, იზიარებს მათ შეხედულებებს. ასევე დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში აწყობენ შეხვედრებს, და აცნობენ სკოლის მისიას მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ან კანონიერ წარმომადგენლებს. წარმოდგენილი დოკუმნეტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია;**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს** -საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ "ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: სსიპ – გურჯაანის მუნიციპელიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მშობელთა კრების ოქმი, 2022 წლის 7 სექტემბერი.

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს** - სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტი დამტკიცებულია 2023 წლის 2 თებარვალს, სამეურვეო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

საბჭოს მიერ. დოკუმენტი მოიცავს : სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების პრიციპებს; სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმასა და მის მონიტორიგს; ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და მონიტორინგს; დასკვნით დებულებებს. თითოეული თავი მოიცავს მუხლებს. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში აღწერილია საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები, რადგან აღნიშნულია, რომ სტრატეგიული გეგმა უკავშირდება სკოლის სვოტ ანალიზს, სასკოლო საზოგადოების, სკოლის ბენეფიციაერებისა და სხვა დაინტერესებული პირებისგან შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს. **ინდიკატორი შესაბამისია**;

**2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს** - სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია პროგრამული მიმართულებები, მიმართულების შესაბამისი ამოცანები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების ვადები. **ინდიკატორი შესაბამისია;**

**3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას** - სკოლამ წარმოადგინა ერთლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას და სკოლის თვითშეფასებას. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, გეგმების ანალიზისას ჩანს სკოლის განვითარება და მიზნებისკენ სპირალური სვლა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია;**

**4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია** - სკოლამ წარმოადგინა ერთლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას. აქტივობები განსაზღვრულია ამოცანების შესაბამისად, განსაზღვრულია შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. ერთწლიან სამოქმედო გეგმას ახლავს შესრულების ინდიკატორები, რომელიც ხშირად მტკიცებულებების სახით არის გამოხატული. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგია.
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N16, 2023 წელი (შვიდლიანი სტრატეგიული გეგმის განხილვა და დამტკიცება;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სტრატეგიული შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა;

### 1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს** - სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების და ინტერესების გათვალისწინების შესახებ. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის პირველ ეტაპს მოიცავს სკოლის პერსონალის, ბენეფიციარის და სხვა დაინტერესებული პირებისგან ინფორმაციის შეგროვებას. შემდეგ, მეორე ეტაპი მოიცავს, მიღებული ინფორმაციის ანალიზს. შემდეგ, აღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებულ მხარებთან კომუნიკაციას და ანალიზს, რის შედეგადაც, ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვას და სამომავლო დაგეგმავს. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის საბჭოს მიერ მიერ 2023 წლის 5 მაისს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია**;

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით** - სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

სტრატეგიული გეგმიდან. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ასევე ეფუძნება საგნობრივი კათედრების ანგარიშებს, ბიბლიოთეკარის ანგარიშსა და ა.შ. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლა გეგმავს ყოველწლიური SWOT ანალიზის განხორციელებას და შესაბამისად მომავალი სასწავლო წლისათვის ცვლილებების შეტანას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია**;

**3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა** - აღნიშნული მიმართულებით სკოლა გეგმავს შედეგების გამოქვეყნებას სკოლის ვებ-გვერდსა და სოციალურ გვერდზე. სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია;**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის** - აღსანიშნავია, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა 2022-2023 სასწავლო წლის გეგმა, ამ ორი სასწავლო წლის გეგმის შედარებისას, უნდა ითქვას, რომ გარდა შეცვლილი აქტივობებისა, სკოლას ახალ 2023-2024 სასწავლო წლის გეგმაში დამატებული აქვს თითოეული აქტივობის შესაბამისი შეფასების ინდიკატორები. ზოგ შემთხვევაში შეფასების ინდიკატორი მტკიცებულების ხასიათს ატარებს. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლა გეგმავს ყოველწლიური SWOT ანალიზის განხორციელებას და შესაბამისად მომავალი სასწავლო წლისათვის ცვლილებების შეტანას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია**;

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, 2023 წლის 5 მაისის სხდომის ოქმი N10 ;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარის ანგარიში;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრების ანგარიშები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული** - სსიპ გურჯაანის უნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრული და შეთანხმებულია განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის საშტატო განრიგის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებლები, სკოლის ექიმი - პედიატრი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი (ორი), დარაჯი (ორი), ცეცხლფარეში და დამლაგებელი (ორი). დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. სკოლაში ფუნციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვიმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაცისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის და ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანაშშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. აღნიშნული ხელშეკრულებები, სკოლის შინაგანაწესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.**ინდიკატორი შესაბამისია;**
2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას** - თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციები, გაწერილია სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქცებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

დებულებაში, განსაზღვრავს თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს. აღნიშნული თავის მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის უნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის დებულება;
- სსიპ გურჯაანის უნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესი;
- სსიპ გურჯაანის უნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის თვითმმართველობის დებულება;
- სსიპ გურჯაანის უნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის პედაგოგოიური საბჭოს სამოქმედო გეგმა;
- სსიპ გურჯაანის უნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მართვის პრინციპებისა და სრტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნის დებულება;
- სსიპ გურჯაანის უნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება N1/კ-65 სკოლის მართვის პრინციპებისა და სრტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნის დებულების დამტკიცების შესახებ.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად** - სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლა თვისი საქმიანობის ფარგლებში ხელმძღვანელობს, „ზოგადი განათლების შესახებ კანონსი, „ეორვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანების, „მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის N1014 ბრძანების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემისა" და სხვა სამართლებლივი აქტების საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტის საშუალებით რეგულირდება ადამიანური რესურსის მართვის პროცესები. დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ. წარმოდგენილი დოკუმნეტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია**;

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა** - სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს ადამიანური რესურსების მართვას. აღნიშნული მიმართულებით გაწერილია განსახორცილებელი ამოცანები, ის კონკრეტული ამოცანები, რომლებიც სკოლას დაეხმარება პერსონალის საჭიროებების დადგენაში, მაგალითად „რა ძლიერი და სუსტი მხერეები აქვთ თანამშრომლებს?" რა ზეგავლენები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს თანამშრომელთა საქმიანობაზე". პერსონალის განვითარების, პროფესიული ზრდის ხელშეწყობის მიზანით, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია შესაბამისი აქტივობები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია**;

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით** - სკოლას აქვს სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის გამოცხადების წესი, რომელიც შემუშავებულია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას არ აქვს დირექცია - ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის მიღების წესი. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებსა და დირექციის წარმომადგენლებს აქვთ ცნობები ნასამართლეობის შესახებ. წარმოდგენილი აქვთ ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" და „უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, მასწავლებლების შემთხვევაში ხელშეკრულებებში შეტანილია სტატუსის შესაბამისი დამატებითი მოთხოვნები. ხელშეკრულებების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ხელშეკრულებების ნაწილში, იმ თანამშრომლებთან, რომლებთანაც გაფორმებული იყო 2023 წლამდე უვადო ხელშეკრულება, არ იყო ჩადებული პერსონალური მონაცემების შესახებ პუნქტი. არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც მას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც ასახულია მასწავლებლისა და სპეც. პედაგოგის ასევე სხვა თანამშრომლის აყვანის წესი. ასევე წარმოდგენილი აქვს თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელშიც გაკეთებულია ჩანაწერი პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენებისა და გავრჩელების შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას** - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების შერჩეულნი არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას კვალიფიკაციის შესაბამისობასთან დაკავშირებით შექმნილი აქვს „სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქცებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება“. აქედან გამომდინარე მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებული თანამდებობის კვალიფიკაციას. **ინდიკატორი შეესაბამება**;

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს** - სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. ამის დასტურია დოკუმენტებზე მუშაობის გაზიარება, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო. აღნიშნული დასტურდება სხვადასხვა შეხვედრის ოქმებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია;**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი** - სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა. წარმოდგენილი დოკუმნეტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმნეტი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ერთლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის პერსონალისპირადი საქმეები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებლის აყვანის კომისიის ოქმი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის „სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქცებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება“;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები** - მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის მიზნით, სკოლაში შექმნილია პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის მიზანია მასწავლებელთა შეფასება, საჭიროებების დადგენა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობა. სკოლას პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულებასთან ერთად წარმოდგენილი აქვს გაკვეთილზე დასწრების 2022-2023 სასწავლო წლის. რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს, აღსანიშნავია, რომ თვით დაკვირვებისა და დაკვირვების საფუძველზე ავლენენ საჭიროებებს. წარმოდგენილი დოკუმნეტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

**2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად -** მასწავლვლებელის პროფესიული საჭიროებების დადგენა ხორციელდება ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ გაცემული უკუკავშირის საშუალებით, რაც შეეხება სხვა პერსონალის განვითარებისთვის საჭიროებების დადგენას, ხდება დაკვირვებით და თვითშეფასების საფუძველზე. აღნიშნულ პუნქტს არეგულირებს სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმნეტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია;**

**3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას** - ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია, რომ მასწავლებლების პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა ხდება სხვადასხვა ტრენინგსა თუ კონფერენციაში მონაწილებით. რაც შეეხება სკოლის სხვა თანამშრომლებს, ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლაში მომუშავე პერსონალმა კერძოდ, ბუღალტერმა და ცეცხფარეშმა ზეპირსიტყვიერად მიმართეს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსზე დასწრების სურვილით. შესაბამისად სკოლამ შეუწყო ხელი მათ პროფესიულ განვითარებას. აღნიშნული დასტურდება მათ საქაღალდეში არსებული სერთიფიკატებით. სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს სკოლაში მომუშავე პერსონალის (მასწავლებლების) კარიერული ზრდის ხელშემწყობი აქტივობები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია;**

**4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან** - მასწავლებლის ინტეგრაციაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საგნობრივ კათედრასა და დირექციას. ახალი თანამშრომლის მიღება იწყება თანამშრომელთა გაცნობით, სკოლაში მუშაობის წესების გაცნობით და აღნიშნული საკითხი რეგულირდება პერსონალის მართვის დოკუმენტში. **ინდიკატორი შესაბამისია;**

**5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები** - სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------
-------------------------
-------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად** - სკოლას ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფი თავის საქმინობის ფარგლებში, ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილებზე და აბრუნებს განმავითარებელ უკუკავშირს. გარდა ამისა, სკოლას წარმოდგენილი აქვს საგნობირვი კათედრის ოქმები, განსახილველ საკითხთა შორის არის განვლილი სემესტრის ანგარიში (შესრულებული სამუშაოების, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და ა.შ.) და მომავალი სემესტრის გეგმა. წარმოდგენილი დოკუმნეტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია**;
2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები** - სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში იდენტიფიცირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლას შემუშავებული აქვს თითოეული მმართველი რგოლის ფუნქციები, რომელშიც ასევე მკაფიოდ არის გაწერილი თანანმედობრივი ვალდებულებები, მაგალითად, დირექტორის მოვალეობები, დირექტორის მოადგილის მოვალეობები, სამეურვეო საბჭოს მოვალეობები, სკოლის ბუღალტრის მოვალეობები, მასწავლებლის მოვალეობები, ბიბლიოთეკარის მოვალეობები და ა.შ.თითოეული ვალდებულება დაკავშირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან. წარმოდგენილი დოკუმნეტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია**;
3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა** - სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები “, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს მიღებული შედეგის გასაჩივრების ეტაპებსაც. ხოლო თანამშრომელთა მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრება ხორციელდება დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოს მიერ. **ინდიკატორი შესაბამისია** ;
4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები** - სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომლის საქმიანობა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები“, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს მიღებული შედეგის გასაჩივრების ეტაპებსაც. ხოლო თანამშრომელთა მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრება ხორციელდება დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოს მიერ. **ინდიკატორი შესაბამისია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება N 2-99 მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებისა და მოსწავლეთა უფლებათა დაცვალზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმნეტი „სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები“;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირექტორის 2021 წლის 12 მარტის ბრძანება N 2-10 „სკოლაში ხარისხის გნავითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მასწავლებელთა გაკვეთილზებზე ურთერთდასწრების განრიგი (2022-2023 სასწავლო წელი)
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საგნობირვი კათედრების სხდომის ოქმები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება „სკოლის სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაოიოც მოთხოვნების დებულების დამკიცების შესახებ“.
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის შინაგანაწესი.

### 3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები** - სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოლოგია, დოკუმენტში იკითხება საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები და ეტაპები; მაგალითად სამოქმედო გეგმის შეთანხმება ხდება სამეურვეო საბჭოსთან, განხილვისას ხდება უკუკავშირის მოსმენა და გაზიარება. ეს პროცესი თავისთავად გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისია**;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა** - დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, კერძოდ, საგნობრივი კათედრების შემადგენლობაშია ყველა მასწავლებელი, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყოს სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

#### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას** - სკოლაში შექნილია თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირებისთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსფრთხო გარემო. სკოლაში არის 41/ნ ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, გარდა ძირითადი სივრცისგან გამოყოფი ბარიერისა. სკოლას ჰყავს ექიმი, რომლის კვალიფიკაციაც შეესაბამება 41/ნ ბრძანებით მოთხოვილ კვალიფიაციას. შესყიდული აქვთ მედიკამენტები გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთოების დაცვის პოლიტიკა, განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირები. სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც წარმოადგენს 2020 წლის COVID 19-სგან დაცვის ღონისძიებების დაგეგმვასა და მათ ეფექტურ განხორციელებას. სკოლას ჰყავს ორი მადატური, და შიდა და გარე პერიმეტრს აკონროლებს ვიოდეო კამერები. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულილ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. აღნიშნული <u>გეგმა არ არის შეთანხმებული შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.</u> <u>სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობბების უსაფრთოების შესახებ, აღნიშნულის საპასუხოდ, სკოლამ წარმოადგინა წერილი, რომელიც მიწერილი აქვს სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან. სკოლას არ აქვს დასკვა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ამის საპასუხოდ სკოლამ წარმოადგინა შპს „უსაფრთხოებასთან" გამორმებული ხელშეკრულება, აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებლის ვალდებულებას წარმოადგენს</u> სახანძრო სისტემების პროექტირებას საქართველოში მოქმედი კანონისა და სტანდარტების მიხედვით, CPV: (71242000)- პროექტისა და გეგმის მომზადება, ხარჯების გამოთვლა. (45 სამუშაო დღის ვადაში) ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოტში სკოლას არ ჰქონდა აღნიშნული დასკვნა. ამასთანავე სკოლას მიეცა <u>**რჩევა:** გამოჰყოს ან აიყვანოს შრომის უსაფრთოების სპეციალისტის სკოლაში</u>. არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც **ა.** სკოლას გამოცხადებული აქვს სატენდერო გაანცხადი, ექიმის კაბინეტში ძირითადი სივრცისგან გამყოფი ბარიერის შესაძენად. **ბ.** სკოლამ წარმოადგინა სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება, საგანგებო მართვის სამსახურისა და სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთვის მიწერილი წერილი. აღნიშნულ წერილში სკოლა შესაბამის უწყებებს უგზავნის სკოლის შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის პროექტსა და საგაგნგებო სსიტუაციების მართვის გეგმას

შესათანხმებლად. **გ.** სკოლამ წარმოადგინა შპს „სამეცნიერი-საპროექტო საწარმოო ინდუსტრია“ მიერ სკოლის შენობის სტრუქტურული შეფასების 2019 წლის ანგარიში, რომელშიც მოცემულია ის სამუშაოები რომლებიც უნდა ჩაუტარდეს სკოლას საერაბილიტაციოდ. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს 2022 წლის 14 დეკემბერს ქონების/ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტი. რომლის მიხედვითაც სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა 2021 წელს. დოკუმენტის მიხედვით სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულებულია არსებული პროექტის ხარისხის მოთხოვნათა შესაბამისად. **დ.** სკოლამ წარმოადგინა სახანძრო-საგანგაშო უსაფრთხოების დასკვნის პროექტი, მისი შერულების თარიღები განსაზღვრულია შესაბამისობის გეგმაში (31.10.2023 – 20.12.2023); **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება**;

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას** - სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“საქართველოს განათლების, მცენიერების კულტურისა და სპროტის მინიტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი (ღამე), ხოლო სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მორიგე მასწავლებლები, სკოლას ჰყავს ორი მანდატური. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრიულია ქცევის წესები (თამბაქოს მოხმარების აკრძალვა, გადაუდებელი დახმარების ნომრები და ა.შ.), რითაც რეგულირდება წესრიგის დაცვის მექანიზმები. სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო. სკოლას გარე და შიდა პერიმეტრზე განთავსებული აქვს 33 ვიდეოთვალი. **ინდიკატორი შესაბამისია**;

3. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად** უსაფრთხო სასკოლო გარემოს - ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტის დროს სკოლას დახვდა პოზიტიური და კეთილგანწყობილი გარემო. გარდა ამისა დერეფნებსა და საკლასო ოთახებში გამოკრულია მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც მათ აღიარებას ნიშნავს. სკოლის ინფრასტრუქტურა (სამასწავლებლო, სამუშაო სივცეების, საკლასო ოთახები) და სკოლაში დასაქმებული პირები, ერთობლივად ქმნიან ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს. გარდა ამისა სკოლის დერეფნებში გამოკრული მოსწავლეთა მიერ განხორციელებული სხვადასხვა ნამუშევარი, რაც ასევე უსაფრთხო გარემოზე მიუთითებს. **ინდიკატორი შესაბამისია**;

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას** - სანიტარული ნორმების დაცვის თვალისაზრისით სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვღულია შესაბამისი პირი. **ინდიკატორი შესაბამისია**;

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას** - სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემთა დაცვას „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ “საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რომლის ფარგლებშიც მოცემულია ინფორმაციის გაცემის წესი. გარდა ამისა, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორიგზე აპასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი შესაბამისია**;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები** - სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამაა. სარეზერვო ფაილები კოპირდება სკოლის დრაივზეც. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლის მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის წესში, განსაზღვრულია ინფორმაციის გამოთხოვის წესი, რომ მხოლოდ წერილობითი მიმართვის საფუძველზე გაიცემა, საქართველოში კანონის შესაბამისი ინფორმაცია. სკოლას ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული პირი/პირები, რომელიც პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგს განახორციელებს. **ინდიკატორი შესაბამისია** ;

7. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის** - სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული სკოლის უსაფრთხოების დაცვის კონტროლის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით, სხვადასხვა მიმართულებით განსაზღვრულნი არიან პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირქტორის 2020 წლის 8 სექტემბრის ბრძანება N 2-41 სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 12 სექტებრის ბრძანება N 2-118, საჯარო სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირექტორის 2020 წლის 8 სექტემბრის ბრძანება N2-38, „სკოლაში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.
- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 ოქტომბრის ბრძანება პერსონალური მონაცემთა დაცვის მონიტორინგე პსაუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირექტორის მიერ სსიპ ლევან სამხარაუსლის სახელობის ეროვნულ ბიოროში გაგზავნილი 2023 წლის 29 სექტემბრის წერილი MES 3 23 0001269528, სკოლის შენობის მდგრადობის შეფასების ექსპერტიზის თაობაზე.
- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლასა და შპს „უსაფრთხოებას“ შორის გაფორმებული 2023 წლის სექტემბრის ხელშეკრულება N13.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირქტორის მიერ, 7.11.2023 გაგაზვანილი წერილი წერილი MES 8 23 0001505566;
- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მიერ გაფრომებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N20, 2023 წელი (გამყოფის ბარიერის შეძენისათვის - შირმა);
- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სახანძრო-საგანგაშო სისტემის პროექტი (სიგნალიზაცია);
- შ.პ.ს "სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია - გურჯაანის მუნიციპალიტეტის, სოფელ კალაურის საჯარო სკოლის შენობის სტრუქტურული მდგომარეობის შეფასების ანგარიში;
- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
*ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით** - სკოლა მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურში. დაზუსტებული ფართობი 8814,00 კვ.მ. შენობა ნაგებობების საერთო ფართი 3492.50. სულ სკოლის ტერიტრიაზე სამი შენობა ნაგებობაა განთავსებული. სკოლა განთავსებულია სამ სართულზე, ერთ წრეზე შეკრულ კორპუსში, რომლებიც გაერთიანებულია შიდა დერეფნებით. თითოეულ სართულზე მდებარეობს საკლასო ოთახები, ადაპტირებული სველი წერტილები, სკოლა სრულად ადაპტირებულია, აქვს სართულებზე მამოძრავებელი ლიფტი და სივრცეებს შორის გადასაადგილებელი ლიფტი. **პირველ სართულზე** მდებარეობს საკლასო ოთახები, რესურსს ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, მანდატურის ოთახი, სასადილო ოთახი. **მეორე სართულზე** მდებარეობს საკლასო ოთახები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახები, სარეკრეაციო სივრცე. **მესამე სართულზე** მდებარეობს საკლასო ოთახები, სარეკრეაციო სივრცე. **ინდიკატორი შესაბამისია**.
2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის** - მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო, სპორტული მოედანი) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. ასევე, სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის (სპორტული და სააქტო დარბაზი). დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც არეგულირებს რესურსების ხელმისაწვდომობას, სკოლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლოის წესი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში - ლაბორატორიით სარგებლობის წესი. **ინდიკატორი შესაბამისია**;

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს** - სკოლის შენობა ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის შესასვლელი არ საჭირიებს პანდუსს, შენობაში კი არის სართულებს შორის გადასაადგილებელი ლიფტი, ხოლო შიდა სივრცეებისთვის (არაერთფეროვანი ზედაპირების შემთხვევაში) არის მცირე ზომის ლიფტები და პანდუსები (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის). სკოლაში, თითოეულ სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი. **ინდიკატორი შესაბამისია**;

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას** - სკოლის ინფრასტრუქტურა (ღია სპორტული მოედანი, სკოლის კეთილმოწყობილი ეზო, დარბაზი), ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად. **ინდიკატორი შესაბამისია**;

5. **სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა)** – სკოლას გააჩნია კურკულუმით განსაზღვრულლი საჭირო რესურსები. აქვს კომპიუტერული ლაბორატორია სრულად აღჭურვილი, პროექტორები, საბუნებისმმეტყველო ლაბორატორია, სპროტული დარბაზი და გარე სპოტული მოედანი (სრულად აღჭურვილი), სკოლის ბიბლიოთეკა (წიგნების საცავი და სამკითხველო). **ინდიკატორი შესაბამისია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის კალაურისა საჯარო სკოლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალარუსი საჯარო სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მატერიალური ქონების ფლობის დოკუმენტაცია;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ინვენტარიზაციის შედეგები.
- სსიპ გურჯაანის მუნიციპლაიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპლაიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 12 სექტემბრის, ბრძანება N2-106 სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპლაიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის დებულება და მუშაობის წესი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპლაიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას** - ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას, სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია არის აღჭურვილი კომპიუტერებით, გარდა ამისა სკოლას აქვს პორტატული კომპიუტერები (ლეპტოპები). სკოლას აქვს 10 კომპიუტერი, 34 ლეპტოპი, 6 პირველკლასელთა დამრიგებლის ბუკი, 5 პროექტორი და 7 პრინტერი. **ინდიკატორი შესაბამისია;**
2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად** - სკოლის ტექნოლოგიები ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლის დირექტორის მოვალეობის. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მატერიალური რესურსებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

სარგებლობის წესი, რომელიც, სხვა მატერიალურ რესურსებთან ერთდ, არეგულირებს კომპიტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესს. **ინდიკატორი შესაბამისია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპლაიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპლაიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 12 სექტემბრის, ბრძანება N2-106 სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ვიზულური დათვალიერება;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის კოპიუტერების ფლობის დოკუმენტაცია;

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი** - სკოლას შემუშავებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი საქმის წარმოების ერთანი წესი. **ინდიკატორი შესაბამისია;**
2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა** - სკოლაში, როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის, გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow, Eschool-ის ბაზა და office 365. **ინდიკატორი შესაბამისია**;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში** - ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადგინდა, რომ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool სისტემაში სკოლას სრულყოფილად აქვს ასახული მონაცემები, შესაბამისად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი შესაბამისია**;

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან** - სკოლის მიერ გაგზავნილი კორესპონდენციის შემოწმების მიხედვით, დგინდება, რომ დროულად აწვდის ანგარიშებს და ინფორმაციას საგანამანათლებლო საქმიანობის შესახებ შესაბამის უწყებებს. **ინდიკატორი შესაბამისია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მიერ გაგზავნილი კორესპონდენციები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამისი პროფილის დათვალიერება;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საქმის წარმოების წესი.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით** - სკოლას აქვს ვებ-გვერდი - skolebi.emis.ge -სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯაროს სკოლა და ასევე აქვს სოციალურ ქსელში Facebook გვერდი. **ინდიკატორი შესაბამისია**;
2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას** - აღნიშნული მიმართულებით სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი. აღნიშნული წესის მიხედვით, სკოლას ჰყავს ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრული. **ინდიკატორი შესაბამისია**;
3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად** - საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესში გაწერილია აღნიშნული პუნქტი. რომლის მიხედვითაც სკოლა გეგმავს, საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირი გაანალიზოს და გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, ინდიკატორი შესაბამისია. **ინდიკატორი შესაბამისია**;
4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას** - სკოლის ვებ-გვერდსა და Facebook გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი შესაბამისია**;
5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ:** მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია - სკოლის ვებ-გვერდზე მოცემულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია სკოლის შესახებ, მდებარეობა, მოსწავლეთა რაოდენობა, ხოლო რაც შეეხება სხვა ინფორმაციას, ვიზიტის პეროდში მოცემული არ იყო. არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს სკოლის ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

პირი, ხოლო ვებ-გვერდზე უკვე ატვირთულია შემდეგი მასალა - სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ვებ-გვერდი;
- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის Facebook გვერდი
- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 12 სექტებრის ბრძანება N 2-118, საჯარო სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება N2-141ვებ-გვეზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება** - ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები არ მოითხოვს ფინანსურ უზრუნველყოფას. **ინდიკატორი შესაბამისია.**
2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა** - სკოლის დირექტორის განმარტებით და წარმდგენილი სამეურვეო საბჭოს ოქმების მიხედვით, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური რესურსების განკარგვის და მონიოტრინგის შედეგებს; სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე, ხოლო მისი გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ასევე წარედგინება სამეურვეო საბჭოს. აღნიშნიულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა** - სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს „სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები“. **ინდიკატორი შესაბამისია**;
2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან** - საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესში აღნიშნულია, რომ სკოლა ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს Facebook გვერდსა და ელექტრონულ ფოსტას. სასკოლო რეგულაციების გამჭვრივალობაზე მეტყველებს სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული შინაგანაწესი. გარდა ამისა მშობლეთან, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. გარდა ამისა, კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ხდება საკლასო / მშობელთა კრებებზე. **ინდიკატორი შესაბამისია**;
3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება** - სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმოადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 12 სექტემბრის ბრძანება N 2-99 მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებისა და მოსწავლეთა უფლებათა დაცვალზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმნეტი „სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები";
- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 12 სექტებრის ბრძანება N 2-118, საჯარო სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სსიპ გურჯაანის მულიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მშობელთა კრების ოქმი.

### 4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები** - სკოლას მოქმედი კონონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან -კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი. სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც დასტურდება ელექტრონული ბაზებითა და მოსწაავლეთა პირადი საქმეებით. **ინდიკატორი შესაბამისია**;

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს** - სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც დასტურდება ელექტრონული ბაზებითა და მოსწავლეთა პირადი საქმეებით. **ინდიკატორი შესაბამისია**;

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი** - კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის და სასწავლო პროცესის მარეგულერებელ დოკუმენტებს მოსწავლეებსა და მათ კანონირ წარმომადგენლებს. **ინდიკატორი შესაბამისია**;

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული** - სკოლას ინფორმაციის გავრცელებზე ჰყავს პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ინფორმაციას აწვდიან, სკოლის საზოგადოების ოფიციალური პირები, დირექცია, კლასის დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები. შესაბამისად გავრცელებული ინფორმაცია არის კანონიერი, გამჭვირვალე, განახმებული და არადისკრიმინებული. **ინდიკატორი შესაბამისია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასსი გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მირებული განათლლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის გამოცემული ბრძანებები მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ.
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის კლასის დამრიგებლის დებულება;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი** - სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს ახლად გამოსული მოსწავლის, პირველკლასელი მოსწავლისა და სსსმ მოსწავლის ადაპტაციის პროცედრებს. **ინდიკატორი შესაბამისია**;

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან** - სკოლას აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სივრცე თვითმმართველობის შეხვედრებისათვის, სკოლა უზრუნველყოფს ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, რისთვისაც არსებობს სკოლაში რესურსოთახი და შესაბამისი დამხმარე სპეციალისტები. ამ საკითხს ასევე არეგულირებს სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. ერთ-ერთ მასწავლებელს გავლილი აქვს რემედიაციის ტრენინგი და შექმნილი აქვს პროგრამა. **ინდიკატორი შესაბამისია**;

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად** - აღნიშნული მიმართულებით საგნის მასწავლებელები სხვადასხვა საკონსულტაციო შეხვედრას მართავენ მოსწავლეებთან, საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლას, სპეციალურ მასწავლებელს შემუშავებული აქვს, ინდივიდუალური, მოსწავლის საჭიროებას მორგებული ტრანზიციის გეგმა. გეგმის მიხედვით მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობა - პროფესიული განათლების მიმართულებით მოსწავლის დახმარება. კონკრეტული გეგმის მიზანია - სკოლის დასრულების შემდეგ მოსწავლემ შეძლოს ინტერესების და შესაძლებლობის გათვალისწინებით პროფესიისა და შესაბამისი სასწავლებლის არჩევა. **ინდიკატორი შესაბამისია**;

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით** - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განსაზღვრულია მოსწავლისთვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები. გარდა ამისა, დამირეგებელი წლის დასაწყისში ყველა მოსწავლესა და მშობელს აცნობს სასკოლო დოკუმენტაციას, კანონმდებლობას და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში გონვრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. **ინდიკატორი შესაბამისია**;

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას** - სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის წესი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს, მოსწავლეთა ინიციატივის მახდაჭერის, მიღებისა და ხელშემწყობ მექანიზმებს. **ინდიკატორი შესაბამისია**;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას** - სკოლას შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის კითხვარი და პერმანენტულად ატარებს მშობელთა ანონიმურ გამოკითხვებს. სკოლის ბიბლიოთეკარს აქვს შემუშავებული ასევე კითხვარი, რომლის საშუალებითაც იგებს მოსწავლის საჭიროებებს და შემდეგ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აკეთებს ანალიზს და აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. წარმოდგენილი დოკუმნეტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის კალაურის საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის კალაურის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერის წესი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის კალაურის საჯარო სკოლის ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის კალაურის საჯარო სკოლის მშობელტა კითხვარი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის კალაურის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარის კითხვარი.

### 4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის** - სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კარიერული დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში იგეგმება, ინდივიდუალური და გაერთიანებული შეხვეედრები. კლასის დამრიგებლებს (IX კლასი) სადამრიგებლო გეგმაში განსაზღვრული აქვს ვიზიტი პროფესიული კოლეჯში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

„აისში“. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტთან. აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, სკოლა უზრუნველყოფს სტუდენტების პედაგოგიური პრაქტიკით უზრუნველყოფას და მათ შეფასებას. აღნიშნული ფაქტი ხელს შეუწყობს ახალი პროფესიით დაინტერესებას (მოსწავლეებში). წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია**;

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით** - აღნიშნული მიმართულებით აქტიურად ჩართულები არიან მეცხრე კლასის დამრიგებლები და ისინი პერმანენტულად აწვდიან ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ მოსწავლეებს, მათი ინტერესიდან და საჭიროებიდან გამომდინარე. წარმოდგენილი დოკუმნეტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია**;

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს** - სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, გაწერილია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის ხელშემწყობი მექანიზმები. გაუმჯობესების მექანიზმებზე მუშაობას სკოლა მომავალში გეგმავს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის კალაურის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 6 ოქტომბრის ბრძანება N2-215, „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“.
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის კალაურის საჯარო სკოლის დამრიგებლის პროგრამა (IX კლასი);
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის კალაურის საჯარო სკოლისა და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის თანამშრომლობითი მემორანდუმი.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი** - სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და ასევე მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან.
სკოლაში დასაქმებულია სპეციალური მასწავლებლები და სსსმ პირის ასისტენტები, შექმნილია ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის ჯგუფი. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები (6 სსსმ მოსწავლე, მათ შორის 3 შშმ). სკოლაში აქტიურად მოქმედებს ინდივიდუალურ გეგმაზე მომუშავე გუნდი. შესაბამისად მათ აქვთ საჭიროებას მორგებული გეგმები და შეხვედრების ოქმები. **ინდიკატორი შესაბამისია**;
2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს** - სკოლას აქვს რესურსოთახი, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი და ასისტენტი. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც ასევე მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლის სირთულის ერთობლივად დაძლევაზეა დაფუძნებული. სსსმ მოსწავლის / მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით შექმნილია ინდივიდუალური გეგმები. აღნიშნული მოსწავლეები აქტიურად ჩართულები არიან სასკოლო ღონისძიებებში და სასკოლო ცხოვრებაში. სკოლას, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე შემუშავებული აქვს ტრანზიციის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეს დაეხმაროს პროფესიის არჩევაში. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირქტორის 2023 წლის 8 მაისის ბრძანება N 2-53, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირქტორის 2023 წლის 22 სექტემბრის ბრძანება N 2-115, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შექმნის შესახებ (VI კლასი)
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის მიერ შემუშვებული სასწავლო გეგმები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მოსწავლის ტრანზიციის გეგმა.

***4.2.4.*** **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

**შემთხვევაში)** – სკოლაში არ ფუნქციონირებს კვების ბლოკი. თუმცა აღნიშნული მიმართულებით სკოლას დაწყებული აქვს მოლაპარაკება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ამასთანავე სკოლა ჩართულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, ვინ უწევს მომსახურების შემოწმებას. **ინდიკატორი შესაბამისია**;

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას** - - აღნიშნული მომსახურება არ აქვს სკოლას. **ინდიკატორი შესაბამისია**;

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს** - აღნიშნული მომსახურება არ აქვს სკოლას. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირექტორის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება N1/კ-09, „სკოლაში მოსწავლეების ტრანსპორტით გადაადგილების მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N13 „სკოლის პირევლ სართულზე არსებული ფართის (43,8კვ.მ) და იქ არსებული ინვენტარის იჯარით გაცემის საკითხის შესახებ“.

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგასანამანათლებლო პროგრამა)** | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------
-------------------------
-------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

1. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას** - სკოლას, ექსპერტთა ჯგუფისთვის, მტკიცებულების სახით არ აქვს წარმოდეგნილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, თუმცა სკოლის მიერ წარმოდენილ დოკუმენტაციაში, კათედრის ოქმებში, კათედრის სამოქმედო გეგმაში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, ვკითხულობთ, რომ კათედრებზე საგნის მასწავლებლების მიერ იქმნება კურიკულუმის ჩარჩო, სადაც განისაზღვრება სამიზნე ცნება, ქვეცნება, საკითხი, კომპლექსური დავალების პირობა, სასწავლო რესურსები. პარალელური კლასის პედაგოგები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების სინქრონულ განაწილებაზე, როგორც პარალელურ კლასებში, ასევე სასწავლო პროცესში ხდება კომპლექსური დავალების ადაპტირება მოსწავლეთა საჭიროებებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით. კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლის დირექციას. იგი საგნის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------
-------------------------
-------------------------

მასწავლებლებთან ერთად უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის განვითარების შესახებ სასკოლო საზოგადოების,(მოსწავლე,მასწავლებელი, მშობლების) ინფორმირებულობას, რომლებიც თავის მხრივ, აქტიურად ჩართულნი არიან პროცესში. გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტები და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნები. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების სტრატეგიებისა და ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებას. კათედრა გეგმავს და ჩაატარებს მოსწავლეთა დიაგნოსტიკურ შეფასებას, რამაც შეიძლება განაპირობოს ცვლილებები კურიკულუმში. არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია. აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია თუ რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. კურიკულუმის დაგეგმვის მეთოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმი იქმნება სწავლების სამივე საფეხურზე და მოიცავს, საგნობრივ კურიკულუმებს, საგნობრივ პროექტებს, სადამრიგებლო საათს და დამატებით საგანმანათელბლო მომსახურებას. დოკუმენტი ასევე მოიცავს კურიკულუმის განვითარების ეტაპებს, სადაც უშუალოდ იკვეთება სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტების შეწავლა. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან საგნობრივი კათედრები, მასწავლებლები, სკოლის დირექცია, ხოლო შემუშავებული კურიკულუმების შეთანხმება ხდება სასკოლო საზოგადოებასთან. კურიკულუმის რევიზიის მიზნით, სკოლა იყენებს მოსწავლეთა შეგეგებს, მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობით განხორციელებულ, სხვადასხვა პროექტის ანგარიშებს, კათედრების მუშაობის ანგარიშებსა და სხვა.**ინდიკატორი შესაბამისია**;

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები** - სასკოლო კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესები. მასწავლებელთა ინტერესებს მოსწავლეთა საჭიროებები, მზაობა, საგანმანათლებლო პრინციპები და სასწავლო მიზნები განსაზღვრავს და საფუძვლად ედება კურიკულუმის შემუშავებას. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრის წევრები გეგმავენ შესაბამის აქტივობებს, სხვადასხვა სასწავლო და სოციალური პროექტებს, თემატიკის არჩევისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი მშობელი) ინტერესები, მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები და შესაძლებლობები. კათედრის წევრები ცდილობენ საკუთარი გამოცდილების მიხედვით და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული შუალედური დავალებებით დაგეგმონ მომდევნო სასწავლო წელი. ამ წინაპირობას იძლევა სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპები, რომელსაც სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად სასკოლო საზოგადოებას ერთ-ერთ გზად მიაჩნია კომპლექსური დავალების განხორციელება.სკოლაში შემუშავებულია მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები,სადაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტრესები,შესაძლებლობები ასევე კონსტრუქტივისტული და დიფერენცირებული მიდგომები, რაც შესაძლებელს გახდის მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და დადებითად აისახება სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

მშობლებთან სოციალური ქსელებით, ელექტრონული ფოსტით, ტელეფონით კომუნიკაციის დროს თუ მშობელთა კრებებზე ირკვევა მშობელთა ინტერესები, შეხედულებები, რაც გათვალისწინებულია პროექტებისა თუ სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვის დროს. სასკოლო კურიკულუმებში ასახულია მოსწავლეებთან ყოველდღიური ურთიერთობის დროს თუ სადამრიგებლო საათზე გამოვლენილი მოსწავლეთა ინტერესები. **ინდიკატორი შესაბამისია**;

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ** - კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება, კურიკიულუმი ძირითად ეყრდნობა სამინისტროს მიერ მოწოდებულ ნიმუშებს, სკოლა იყენებს გარკვეული მოდიფიკაციით, ადაპტაციით, სადაც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება, მათი საჭიროებები და შესაძლებლობები. სკოლის პრაქტიკაა რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს; ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. იგეგმება კომპლექსური დავალებები, პროექტები, სადამრიგებლო საათები, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი ღონისძიებები, აქტივობები, სწავლა სწავლების პროცესში გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად იგეგმება კვლევის ჩატარება ძლიერი და გასავითარებელი მხარის გამოსაკვეთად. **ინდიკატორი შესაბამისია**;

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ** - სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი მთელი წლის განმავლობაში ჩართულია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში, შესაბამისად, მათი საერთო შეთანხმების პროდუქტად არის აღქმული სასკოლო კურიკულუმი. მათი ინტერესებისა და მოსაზრებების საფუძველზეა დაგეგმილი მთელი რიგი აქტივობები. კურიკულუმი და შესაბამისი მასალები ექვემდებარება მუდმივ გადახედვას და მონიტორინგს (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათი, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება) როგორც სასაკკოლო სასწავლო გეგმაშია აღნიშნული კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, აქედან გამომდინარე ლოგიკურად შემიძლია დავასკვნა, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი შესაბამისია**

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** - სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ამოსავალია თითოეული მოსწავლის პიროვნული განვითარება. კურიკულუმებში დაგეგმილი აქვთ კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას და, ზოგადად, პიროვნულ განვითარებას ემსახურება. მაგალითად, **ქართულ ენაში უნდა შექმნან მრავალფეროვანი პროდუქტი - ზღაპარი გააგრძელონ,** ერთი პერსონაჟის სახელით წერილი მისწერონ მეორე პერსონაჟს, ამბავი შეთხზან და ა.შ., რაც მოსწავლეთათვის საინტერესო გამოცდილება და გამოწვევაა. მათ შექმნას ძალისხმევა სჭირდება - წარმატება გარანტირებული არ არის, თუ მოსწავლემ ძალისხმევა არ გაიღო. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა შემოქმედებით უნარებს ავითარებს, რადგან შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს ქმნიან და პროცესში გამოთქვამენ ვარაუდებს, მოსაზრებებს. შექმნის პროცესი მათ ემოციურ კმაყოფილებას ანიჭებს. სასწავლო პროცესში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დაგეგმვა ნიშნავს, რომ წახალისებულია მოსწავლის რეფლექსია, რადგან გასიტყვების პროცესი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის განუყოფელი ნაწილია. ნამუშევრის პრეზენტაციისას მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, რა გამოუვიდათ კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რომელმაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლეს, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი წინარე გამოცდილების გააქტიურებასაც ითვალისწინებს, რადგან ნაცნობ გამოცდილებაზე იგება ახალი ცოდნა. წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიც სასწავლო პროცესის თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას ადასტურებს. სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები და გათვალისწინებულია მათი ინტერესები. **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) - საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება სასწავლო პროცესის სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულობა.** წარმოდგენილ კურიულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც ორიენტირებულია ამავე საფეხურისა და საგნის გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებსა და შედეგებზე). 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლა-სწავლების მიზნების შესაბმისად, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია, მოსწავლეს განუვითაროს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები: კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ხასიათის ნებიყოფის/ ნებელობის უნარები, შეიძლება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ეს მიდგომა შესაძლებელს გახდის დაწყებით საფეხურზე კათედრების საგნობრივი კურიკულუმების მიმართებას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსკენ. დავალებები რომლების მრავალფეროვანი აქტივობებით არის დატვირტული, მოსწავლეს აძლევს არჩევანისა და გამოხატვის თავისუფლებას. **ინდიკატორი შესაბამისია**

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს** - კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლება, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა რეალიზებულია სკოლაში. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვისა თუ განვითარების პროცესში ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს, სწავლის პოტენციალს, სტილს, მოტივაციასა და პირად ინტერესებს. ამის მიხედვით შეიტანეს ცვლილებები საგნობრივ კურიკულუმებში - სასწავლო რესურსები და დავალების პირობა მოარგეს მოსწავლეთა საჭიროებებს. გააზრებულია შეფასების დიაგნოსტიკური დანიშნულება - შეფასებისას მიღებულ მონაცემებს მასწავლებლები იყენებენ მომდევნო ინტერვენციებისთვის, მოსწავლეებს შეფასება აკვალიანებს, როგორ გააუმჯობესონ სწავლის პროცესი. გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა შესაძლებლობები და ამის მიხედვით შედგენილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. მიმართავენ რემედიაციას. ამ მიმართულებით, **ესთეტიკური აღზრდის კათედრას, საგან მუსიკაში, მიეცა რჩევა**: ეროვნულ სასწავლო გეგმაში დაწყებით საფეხურზე საგნისთვის მუსიკა, განსაზღვრულია ერთი სამიზნე ცნება რაც, საგნის სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს. შესაბამისად სკოლამ დააზუსტოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცნების რაოდენობა. **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს** - სკოლას 2023-2024 წ. სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც გულისხმობს დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლა ირჩევს განმსაზღვრელ შეფასებად პირველი მოდელს, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე

კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; კათედრის სხდომის ოქმში #1 10.09.2023 წ. იკითხება რომ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ფარგლებში გათვალისწინებული შემაჯამებელ-კომპლექსური დავალებით ეტაპობრივად დაინერგება SOLO ტაქსონომიის პრინციპებზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების სისტემა, რომლის ფარგლებშიც სკოლის თითოეული მოსწავლის მიღწევები აღიწერება სამიზნე ცნებებთან მიმართებით კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შესაბამისია.**

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი** - სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. სკოლა საუბრობს, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კათედრა აკეთებს ანალიზს თუ რამდენად მოახდინა ჩატარებულმა საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე, რათა წინარე სასწავლო წლის გამოცდილება გათვალიწინებული იყოს შემდგომი სასწავლო წლის სამუშაო პროცესის დაგეგმვისას კონსტრუქტივისტული მიდგომებით. კათედრის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციაში „ეროვნული სასწავლო გეგმის“ მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კათედრა უნდა შეიკრიბოს სემესტრში მინიმუმ ორჯერ (მათ შორის, სემესტრის დასრულებისას საგნის სწავლების შეჯამების და ანალიზის მიზნით). ასევე სასწავლო წლის დაწყებამდე, ეფექტურად მუშაობისათვის საჭიროა შემუშავდეს კათედრის სამოქმედო გეგმა, სადაც გაანალიზდება განხორციელებული სამუშაო და განისაზღვრება კათედრის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებები და მათი განხორციელების პერიოდი.სკოლას აქვს შექმნილი დოკუმენტი, სტრატეიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით, სკოლამ შეიმუშავა მეთოდოლოგია, რომლის მთავარ ორიენტირად განისაზღვრა მაქსიმალური ჩართულობა. რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის კათედრის ოქმი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24.
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას -** დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტების შესწავლით იკვეთება რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რაც მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით-შემეცნებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას ქმნის. **მოსწავლეებმა უნდა შექმნან მრავალფეროვანი პროდუქტი - ზღაპარი გააგრძელონ, ამბავი შეთხზან, წერილი მისწერონ პერსონაჟს და ა.შ.,** რაც მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, შემოქმედებითი უნარების განვითარებას განაპირობებს. მათ უწევთ იდეების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

გენერირება, შემოქმედებით-შემეცნებითი პროდუქტის შექმნა. ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება. **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით** - 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმები კონსტრუქტივისტულ პრინციპებს თავისთავად გულისხმობს, შესაბამისად, პედაგოგი ისე ადგენს პროცესს რომ მოსწავლე თანდათანობით მიდის ახალ ცოდნამდე. სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობით, რესურსები, წარმოდგენილია რიგ შემთხვევაში კომპლექსური დავალების პირობაც. ინტერვიუს დროს გამოკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება, საგნის კომპლექსური ბუნების დავალებებში ეტაპები ისეა გაწერილი, რომ მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნის თანდათანობით აგება და შექმნან პროდუქტი. **ინდიკაური შესაბამისია.**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე** კურიკულუმის ჩარჩოები წარმოდგენილია იმგვარად რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას, რაც 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმით ადგენს - აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრას, დაგეგმვას, სწავლის პროცესის მონიტორინგს, სოციო-ემოციურ მართვას, ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენებას. წარმოდგენილ დანართებში, ჩანს რომ კათედრამ შეარჩია მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებები, სადაც მოსწავლეები ეუფლებიან სწავლის-სწავლას, პირველ და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის ამოცნობას, დანაწევრებული მასალის გამთლიანებას, საკუთარი შეცდომების აღმოჩენას და აღიარებას, დასასრულს მოსწავლეები წარადგენენ თავის პროდუქტს და საუბრობენ თუ რა გზა გაიარეს დავალების შესრულებისას. რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ, როგორ მოიქცეოდნენ თავიდა, რომ ასრულებდნენ სამუშაოს. **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)** - ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები მათ ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურების საშუალებას აძლევს. მოსწავლეები არა მხოლოდ ფაქტობრივ მასალას ეცნობიან და ამუშავებენ, არამედ მიღებული ცოდნის ინსტრუმენტად გამოყენება უწევთ სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელად. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ამის პირობას ქმნის. თითოეული კომპლექსური დავალება ეფუძნება ცოდნის სამივე კატეგორიას. სასწავლო პროცესი მიმართულია იქითკენ, რომ მოსწავლეს გამოუმუშაოს უნარები, რომ მიღებული ცოდნა და გამოცდილება პრაქტიკაში გამოიყენოს, დაძლიოს ცხოვრებისეული სირთულეები. **ინდიკატორი შესაბამისია.**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება** - კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ცოდნათა ორგანიზების შესაძლებლობას ქმნის, რადგან პრობლემის გადაჭრაზეა ორიენტირებული ეს დავალებები, გამოწვევასთან გამკლავება კი ცოდნათა ინსტრუმენტალიზაციის, ცოდნათა ორგანიზების აუცილებლობას განაპირობებს. სკოლას აქვს საგანთა ინტეგრაციის გამოცდილებაც. **ინდიკატორი შესაბამისია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო კომპლექსური დავალების ბარათები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით** - დაწყებით საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის მიხედვით, სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალების პირობები გულისხმობს საკვანძო შეკითხვებს, როგორც სწავლების მექანიზმებს. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში/ გადაჭრის გზების ძიებაში, ალტარნატივების შემუშავება და არჩევანის გაკეთება, უზრუნველყოფს მოსწავლის მოტივაციას და მის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. ამ პროცესში მასწავლებლებს შეუძლიათ დაეყრდნონ საგნობრივ სტანდარტს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

და სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ სვლა უზრუნველყონ. **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას** - კურიკულუმებში შეტავაზებული დავალებების შესასრულებლად მოსწავლეებს უწევთ მოსაზრებების დაცვა, შედარება, დასკვნების გამოტანა, არგუმენტების შეფასება და პრობლემების გადაჭრა. ეს პროცესი კი მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. შემოქმედებით-შემეცნებითი პროდუქტის შექმნის პროცესში ხდება ფაქტების ანალიზი, იდეების გენერირება და ორგანიზება, მოსწავლეები ერთმანეთთან თანამშრომლობენ და მართავენ თავიანთი სწავლის პროცესს. საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად გაღებული ძალისხმევა მოსწავლეებს მიღწევის ღირებულებებს (თავდაჯერებულობა, მიზანდასახულობა, თვითრეგულაცია, მოტივაცია, მედეგობა, გუნდური მუშაობა) უყალიბებს. საგნობრივი კურიკულუმები გვიდასტურებს, რომ საგნის პედაგოგები ორიენტირებული არიან მოსწავლეთა სწავლის სწავლაზე და მათ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, მოახდინონ წინარე ცოდნის გამოცდილებით. **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე** - დაწყებითი საფეხურზე მოსწავლეების შეფასება ხდება, როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების სქემებით. ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერისთვის, გამოიყენებენ კომპლექსური დავალების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. სკოლის მიერ მოწოდებული დანართების მიხედვით, მოსწავლის ცოდნის დონის დადგენისა და მისი პროგრესის შეფასებისთვის მასწავლებლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ფარგლებში გათვალისწინებული შემაჯამებელ-კომპლექსური დავალებით ეტაპობრივად დაინერგება SOLO ტაქსონომიის პრინციპებზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების სისტემა, რომლის ფარგლებშიც სკოლის თითოეული მოსწავლის მიღწევები აღიწერება კომპლექსურ დავალებებზე. სამიზნე ცნებებთან მიმართებით. ორიენტირად მოიაზრება შეფასების ინდიკატორები, ეროვნულ სასწავლო გეგმაში ისინი განსაზღვრულია თითოეულ სარეკომენდაციო თემასთვის და დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ, კათედრას შეფასების სისტემების პრაქტიკა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კათედრებმა აღნიშნეს რომ, მუდმივად ხდება მოსწავლისათვის განმავითარებელი უკუკავშირი მიცემა სიტყვიერად, ასევე იგეგმება სამომავლოდ ჰოლისტური შეფასების უკეთესად ათვისება და გამოყენება. **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი** - მოსწავლეებმა იციან, თუ რა კრიტერიუმებით ფასდება მათი ნაშრომი. მასწავლებელი თავიდანვე აცნობს შეფასების რუბრიკას და მოსწავლეები მონაწილეობენ კრიტერიუმების განხილვის პროცესში. მოსწავლეებმა თავიდანვე იციან მისაღწევი მიზანი და შეუძლიათ განსაზღვრონ, მათი შედეგი როგორ უკავშირდება მისაღწევ მიზნებს. მასწავლებლები გეგმავენ შეფასების რუბრიკების გადასინჯვას. ამ მიმართულებით **სპორტის კათედრას მიეცა რჩევა:** <u>ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის დახვეწის</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

მიზნით, კათედრამ შეიმუშავოს მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, მაგალითად, სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმენტებიდან ერთ-ერთი. აღნიშნული მეტად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისია.**

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი** - სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ვერიფიკაციის ამოცანებია: ა) მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან; ბ) მოსწავლის მიღწევების ანალიზი; გ) ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად; წინა წლის გამოცდილებით ვერიფიკაციის მექანიზმს სკოლაში გაკვეთილზე დასწრებით, დაკვირვებით, შეფასების რუბრიკებითა და ზოგ შემთხვევებში დიაგნოსტიკური ტესტებით ახორციელებენ. ვერიფიკაციის ეფექტურად განსახორციელებლად სკოლა გეგმავს დანერგოს მოსწავლეების პორტფოლიოების წამოება. სადაც მეტად დაზუსტდება შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, მათი გათვალისწინება. მოსწავლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციას სკოლა განახორციელებს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტით, პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციით. სკოლა 2023-2024 სასწავლო წელს გეგმავს გამოიყენოს სხვადასხვა მექანიზმები - მათ შორის, მოსწავლეთა შეფასებისა და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წლიური გამოცდების/დიაგნოსტიკური წერების ჩატარება ან სემესტრული გამოცდის ჩატარება, (მოსწავლის მოთხოვნის შესაბამისად) ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი/პირები თავის ფუნქციებს განახორციელებენ შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. შესაბამისად სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდენილი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის საფუძველზე, სკოლა გაანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. **ინდიკატორი შესაბამისია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით** - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. მოსწავლის პირად საქმეში შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და საჭიროების შემთხვევაში ექსტერნატზე ინფორმაცია. ხდება ელექტრონული ჟურნლის წარმოება. შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, მტკიცებულებებს მასწავლებლები გადასცემენ კათედრას, რომელიც აწარმოებს მათ აღრიცხვას და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად. რაც შეეხება შემაჯამებელ დავალებებს, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, გაირკვა რომ სკოლა აწარმოებს შემაჯამებელი დავალების შეფასების ანალიზს, მათ აქვთ თითოეული მოსწავლის ნაშრომი შენახული გარკვეული დროის განმავლობაში. ხოლო სამომავლოდ სკოლა უზრუნველყოფს ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად

ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის შეფასების ცხრილები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მოსწავლეების პირადი საქმეები.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო** - სკოლის მიერ ერთწლიან სამოქმედო გეგმით, შინაგანაწესით, ხარისხის განვითარების მართვის დოკუმენტებით, აშკარაა, რომ სკოლა ახერხებს თანამედროვე სწავლა - სწავლების გზით შექმნას პოზიტიური და მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული, უსაფრთხო გარემო და განუვითაროს მოსწავლეებს გამჭოლი უნარები. სკოლის მისია და ხედვა მეტყველებს სკოლაში შექმნილ მხარდამჭერ, თანამშრომლობით და მიმღებლობით გარემოზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, დაწყებითი საფეხურისა და კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ეს აისახება საგნობრივ კურიკულუმებში, რომელშიც გაწერილია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ

და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. საზოგადოებრივ მეცნიერებების პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო სამუშაოებს, იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. სამომავლოდ აქვთ უამრავი პროექტები და ღონისძიებები დაგეგმილი. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას** - კათედრაზე მასწავლებლები ერთად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს. კურიკულუმებში ასახული დავალებების განხორციელება თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნის აუცილებლობას ქმნის. წახალისებულია თანაკლასელთა თანამშრომლობა და თანასწავლება. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე** - სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, სკოლა ძირითად მეთოდიკურ ორიენტირებში მოსწავლეს პროცესების ცენტრში ასახავს და აცხადებს, რომ სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის უნიკალურობის, თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლების, შესაძლებლობების, ემოციების, ინტერესების, პირადი გამოცდილების, აკადემიური საჭიროებების და სწავლის სტილის, გათვალისწინებას შედეგად მოაქვს სკოლისა და კლასის დონეზე პოზიტიური კლიმატის შექმნა. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის კათედრის ანგარიშები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------

------------------------

------------------------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად** - წარმოდგენილ დოკუემტაციაში (კათედრების სხდომების ოქმებში) ასახულია, რომ სკოლაში მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგემის შედეგებთან მიამართებით, სწავლის ხარვეზის გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემის გადასაჭრელად. სკოლამ ყოველწლიურად უნდა მოახდინოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა-ანალიზი. შესაბამისად მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას** - სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. შესაბამისად ხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, პროცესი წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ასევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

ინსტიტუციური განვითარებით. მონიტორინგი და შეფასება მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას -** სკოლის კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასება განიხილება სასკოლო საზოგადოების მიერ, როგორც სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილი. მის საფუძველზე დგება ახალი კურიკულუმი, სადაც გათვალისწინებულია ხარვეზები და მისი გამოსწორების გზები. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ხარისხის განვითარების დებულება;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმები.

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს -** მოსწავლეების შეფასება ხდება პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისას. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს მრავალფეროვანი წყაროები და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. სკოლა იყენებს როგორც გაკვეთილზე დასწრებას დირექციისა და ხარისხის ჯგუფის წევრებიდან, ასევე ურთიერთდასწრების პრაქტიკას, რაზეც მოწმობს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. სკოლა უკუკავშირის საშულებით, აგროვებს

ინფორმაციას მშობლებისაგან და მოსწავლეებისგან. შესაბამისი დანართებით დინდება რომ აწარმოებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, რომელთაც აწვდიან მშობლებს ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით** - სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასებას განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მაგალითად, მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. პედაგოგები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტის გათვალისწინებით: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები** - პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდეს - კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვ. **ინდიკატორი შესაბამისია**.

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით** - წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. ახდენენ განავითარებელ შეფასებას სხადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. ასევე, ინტევიურების დროს მასწავალებლებმა გამოთქვეს შეფასების რუბრიკების შექმნის და დახვეწის მზაობაც. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



**1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას -** სკოლას მტკიცებულების სახით არ წარმოუდგენია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა გასაუბრებისას და სხვადასხვა დოკუმენტაციაში იკითხება, რომ საშუალო საფეხურზე კურიკულუმები მუშავდება სასკოლო საზოგადეობის წევრთა ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებით. მის შემუშავებაში აქტიურად არიან ჩართულნი კათედრის წევრები, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და მზაობას სასწავლო პროცესის დასაგეგმად. შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო თემის პრიორიტეტები და ჩართულია სასკოლო საზოგადოება, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე იკრიბებიან, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობენ დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები, იმის გათვალისწინებით რომ მშობელი სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია აქტიურად თანამშრომლობენ მათთან, ახდენენ შეხვედრებს, მშობელთა კრებაზე გააცნობენ კურიკულუმში გაწერილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნებს, ისმენენ მშობლების მოსაზრებას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს რა პრობლემას წააწყდნენ მოსწავლეები და რა არის ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზი, სკოლას აქვს გამოცდილება კომპლექსური დავალების შესრულებამდე მშობელთა ინფორმირებულობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

მიზნით მშობელთა ბარათების გამოყენების. არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია. აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია თუ რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. კურიკულუმის დაგეგმვის მეთოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმი იქმნება სწავლების სამივე საფეხურზე და მოიცავს, საგნობრივ კურიკულუმებს, საგნობრივ პროექტებს, სადამრიგებლო საათს და დამატებით საგანმანათელბლო მომსახურებას. დოკუმენტი ასევე მოიცავს კურიკულუმის განვითარების ეტაპებს, სადაც უშუალოდ იკვეთება სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტების შეწავლა. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან საგნობრივი კათედრები, მასწავლებლები, სკოლის დირექცია, ხოლო შემუშავებული კურიკულუმების შეთანხმება ხდება სასკოლო საზოგადოებასთან. კურიკულუმის რევიზიის მიზნით, სკოლა იყენებს მოსწავლეთა შეგეგებს, მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობით განხორციელებულ, სხვადასხვა პროექტის ანგარიშებს, კათედრების მუშაობის ანგარიშებსა და სხვა.**ინდიკატორი შესაბამისია**;

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები** - საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებისას კათედრის წევრები გეგმავენ პროექტების შესაბამის აქტივობებს, ცვლიან გამოცდილაბას, თემატიკას არჩევისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი მშობელი) ინტერესები, საშუალო საფეხურის მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები და შესაძლებლობები. კათედრის წევრები ცდილობენ საკუთარი გამოცდილების მიხედვით და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული შუალედური დავალებებით დაგეგმონ მომდევნო სასწავლო წელი. ამ წინაპირობას იძლევა სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპები, რომელსაც სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად სასკოლო საზოგადოებას ერთ-ერთ გზად კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელება მიაჩნია, სადაც გათალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტრესების და შესაძლებლობები, ეს შესაძლებელს გახდის მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და შესაბამიად დადებითად აისახება სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. **ინდიკატორი შესაბამისია;**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ** - საშუალო საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების, კათედრის წევრების რეკომენდაციის და მშობლის ინტერესებიდან გამომდინარე. კურიკულუმში გამოცდილებაზე დაყრდნობით გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები, ინტერესის სფერო და ისეა გაწერილი კომპლექსური დავალების შუალედური და გრძელვადიანი მიზნები. რასაც ადასტურებს სკოლის დოკუმენტაციაში მოცემული კათედრების შეხვედრების ოქმები თავისი შინაარსით, ასევე მშობელთა კრებები და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისია;**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ** - სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი ხელმისაწვდომი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სასწვალო წლის დასაწისში დამრიგებლები მშობლებს და მოსწავლეებს აცნობენ პრიორიტეტულ მიმართულებებს. კურიკულუმი ატვირთულია სასკოლო ელექტრონულ სივრცეში, ასევე ჩატების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

საშუალებით გაზიარებულია მშობლებთან. ახალი სასწავლო 2023-2024 წლისათვის დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომი და საჯარო იქნება სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისათვის. რაც გულისხმობს იმას, რომ ამისათვის სკოლა იყენებს მისთვის სხვადასხვა რელევანტური საშუალებას; ეს შეიძლება იყოს პირადი / ინდივიდუალური შეხვედრებით, სკოლის საინფორმაციო დაფით და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრების სხდომების ოქმები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოლოგია

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** - კათედრებზე შემუშავებული საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მათი ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული. რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში, კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

ცოდნას და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვა, მათ სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე, როგორც გრძელვადიანი მიზნის საშუალებაზე. წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების/დოკუმენტაციის საშუალებით და ასევე ინტერვიუსას გაცემული პასუხებით, სწავლა-სწავლების პროცესზე პასუხისმგებელნი პირნი ჰოლისტურად გვიქმნინან წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. იყენებენ რა პროექტული შინაარსის დავალებებს მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას თავად იყვნენ აქტიური მონაწილეები საკუთარი სწავლის პროცესში და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება. შეიძლება ითქვას, რომ დავალების ძირითადი საკითხები, რომლებსაც საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გვიჩვენებს ცხადყოფს, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა წარმართოთ სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესების და მზაობისა შესაბამისად. ამ მიმართულებით **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებების იდეები ფარგლებში მუშავედება ამავე საფეხურისა და საგნის გრძელვადიან მიზნები (სამიზნე ცნებები და შედეგები). ასევე 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლა-სწავლების მიზნების შესაბმისად, სასწავლო პროცესი ორიენტორებულია მოსწავლეს განუვითაროს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები: კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ხასიათის ნებიყოფის/ ნებელობის უნარები. შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ეს მიდგომა შესაძლებელს გახდის საშუალო საფეხურზე კათედრის საგნობრივი კურიკულუმების მიმართებას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსკენ. კომპლექსური ბუნების დავალებები მრავალფეროვანი აქტივობებით არის დატვირტული - მოსწავლეს აძლევს არჩევანისა და გამოხატვის თავისუფლებას. ამ მიმართულებით მათემატიკის კათედრას მიეცა **რჩევა:** <u>საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში გაიწეროს 2023-24 სასწავლო წლისთვის განსახორციელებელი აქტივობები (პროექტები, კომპლექსური დავალებები,საკლუბო და საწრეო სამუშაო...) რომლებიც გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) უფრო მეტად განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.</u> **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს** - კურიკულუმებში წარმოდგენილ, სხვადსხვა ტიპისა და ხასიათის კომპლექსური დავალებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ გათვალისწინებულია სხვადასხვა სააზროვნო უნარის მქონე მოსწავლეების შესაძლებლობები. კომპლექსურ დავალებებს თან ერთვის მატრიცები, სადაც დეტალურადაა გაწერილი კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები. ასევე დართულია რესურსები. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

სასწავლო გეგმები, სარემედიაციო პროგრამა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს როგორ იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას მოსწავლეებთან. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს -** წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. ანალიზი, აგრეთვე წარმოდგენილია ჩატარებული კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასების დოკუმენტები რომლის მიხედვითაც ხორციელდება შეფასება, ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. სკოლის მიერ, 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების გეგმავენ 2023-2024 სასწავლო წლისათვის თითოეული შესასწავლი თემისთვის განმსაზღვრელი შეფასებისა და კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი -** სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ამ მიმართულებით სკოლაში დამკვიდრებულია კათედრების, კლასის დამრიგებლების, ისგ ჯგუფის წევრების ანგარიშების წარმოდგენა-გაანალიზება. განვლილი წლის შეფასების საფუძველზე განიხილება ხარისხის გასაუმჯობესებელი მექანიზმების დანერგვა, სასკოლო საზოგადოების მიერ მოწოდებული აქტუალური საკითხები აისახება მომავალი სასწავლო სამოქმედო გეგმის შედგენის დროს. სკოლა საუბრობს, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლი აკეთებს თვითრეფლექსიას, თუ რამდენად მოახდინა მისმა საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე, რათა წინარე სასწავლო წლის გამოცდილება გათვალიწინებული იყოს შემდგომი სასწავლო წლის სამუშაო პროცესის დაგეგმვისას კონსტრუქტივისტული მიდგომებით. სკოლას აქვს შექმნილი დოკუმენტი, სტრატეიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა. ამ მიზნით კათედრაზე იგეგმება ჩატარდეს დიაგნოსტიკური ტესტირება, რაც მისცემს საშუალებას სასწავლო პროცესი წარმართოს საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში და მოახდინოს განხორციელებული საქმიანობის რეფლექსია. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა.*
- *სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის რემედიაციის პროგრამა/გეგმა;*
- *სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის იდივიდუალური სასწავლო გეგმა;*
- *სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის შეფასების რუბრიკები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას** - სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ანალიზით, მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებელები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს, მაგ. სკოლა იყენებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, მოსწავლეები წერენ კვლევით ნაშრომს, პოსტერებს, მაკეტებს, მოდელებს, ვიდეორგოლებს, საინფორმაციო ბუკლეტებს და ა.შ. სკოლის მიერ წარმოდგენილია პროექტები, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები, კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები. საგნობრივი კათედრების დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, სკოლას აქვს ერთობლივი მუშაობის გამოცდილება და მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებზე მუშაობის დროს უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, ასახავენ საინტერესო, ცხოვრებისეულ კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებულ კომპლექსურ დავალებებსა და სხვადასხვა აქტივობებს. შეეცდებიან ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები, რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. ფიქრობენ დაესწრონ ტრენინგებსა და გაეცნონ მეთოდურ ლიტერატურას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით** - კომპლექსური დავალება არის პროექტული სწავლების ერთგვარი მოდელი, სადაც ხდება საკითხის შესწავლა მარტივიდან რთულისკენ, თემებში გათვალისწინებულია დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის სტადიები. საკითხების კვლევა და ანალიზი განიხილება სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ამუშავებს თემას, გამოყოფს თემის საკვანძო საკითხებს, მოსწავლეებთან ერთად ხდება პრობლემის იდენტიფიკაცია, განსაზღვრავენ პროექტის მიზანს და ამოცანებს. კათედრების მიერ დაგეგმილი 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი კონსტრუქტივისტულ პრინციპებს თავისთავად გულისხმობს, შესაბამისად, პედაგოგი ისე ადგენს პროცესს რომ მოსწავლე თანდათანობით მიდის ახალ ცოდნამდე. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა და წარიმართება კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობით. ინტერვიუს დროს გამოკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება და ისაუბრეს როგორ ახორციელებენ ცოდნის კონსტრუირებას. კომპლექსური ბუნების დავალებებში ეტაპები ისეა გაწერილი, რომ მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნის თანდათანობით აგება და შექმნან პროდუქტი. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე** – საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური ტიპის დავალებების იდეები, რომელთაც დართული აქვს შესაბამისი მატრიცები. სკოლის მიერ წარმოდგენილ მატრიცებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ რომ კურიკულუმებში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. მატრიცებში მოცემული კომპლექსური დავალების განხორციელებისათვის საჭირო ეტაპებზე დაკვირვებით ჩანს, რომ ეტაპები არსებით როლს ასრულებენ ცოდნის გარდაქმნისა და დამუშავების პროცესში. რაც გვაძლევს საშუალება,ს ვთქვათ, რომ აღნიშნულ საფეხურზე სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **ინდიკატორი შესაბამისია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

**4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) -** საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება. საშუალო საფეხურის სასწავლო კურიკულუმები იქმნება მსგავსი კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, რომლითაც მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება -** საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლაში ხშირად ხდება სხვადასხვა საგნის ინტეგრირება. პროექტული სწავლებისას ხდება ინტეგრირება, შესაბამისად მოსწავლეებს საშუალებას ეძლევათ დაფიქრდნენ საგანთა ურთიერთკავშირზე. ყოველი განსაზღვრული თემა არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რაც უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის წინარე ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან, მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. პროექტული სწავლება მულტიდისციპლინურ და ინტერდისციპლინურ კონტექსტში არის გზა ძიების, კვლევისა და სწავლება-დასწავლის მეთოდოლოგიის ახლებური დანერგვისაკენ, თანამედროვე სასკოლო ცხოვრებაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის გაუმჯობესებისაკენ. პროექტული სწავლების ფილოსოფია ცოდნისა და კეთებით სწავლების გაერთიანებაშია. ამასთანავე, მოსწავლე იძენს თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის, სიახლეების მიღების, კვლევით-სამეცნიერო, კომუნიკაციის უნივერსალურ უნარ-ჩვევებს. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სასკოლო პროექტები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის გაკვეთილის გეგმები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ურთიერთდასწრების დაკვირვების ანგარიში.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

-----------------------

-----------------------

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით** - სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს,მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები. ამ მასალების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. ყველა კლასის კურიკულუმში მოცემულია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და თემასთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, გააზრებულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, რომლებიც მუშავდება თემის ფარგლებში. ზოგიერთ საგნის კურიკულუმს თან ახლავს მატრიცა , სადაც ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

ეტაპები და პროცესი. აღნიშნული კურიკულუმები არ არის სრულყოფილი, თუმცა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ უკვე მიმდინარეობს კურიკულუმის დახვეწა - განვითარება, ზუსტდება კონტექსტ მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეები და იქმნება დავალების პირობა/აქტივობები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის მიმდინარეობისას კურიკულუმებს დაემატება რესურსები. **ინდიკატორი შეესაბამება.**

**2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას** - პროექტული დავალებების შესრულებით მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა გამოავლინონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები კი მოსწავლეებში პოზიტიური ურთიერთობებს ამყარებს და ხელს უწყობეს თანამშრომლობითი გარემმოს შექმნას. შესაბამისად მოსწავლე სწავლობს სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების მართვას, სხვების აზრის პატივისცემას, ეს ეტაპები მნიშვნელოვნად ამაღლებს მოსწავლის თვითშეფასებას, თვითგამოხატვას და სოციალურ ქცევას. აქ განსაკუთრებული როლი აქვს არაფორმალური განათლებას და პროექტულ სწავლებას. რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების და უნარების გამოვლენას. საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს ითქვა, რომ მეათე კლასში მოსწავლეთა პროექტის დადებითი შედეგები აისახა ზეპირ რეფლექსიებში, ეს ყოველივე მოსწავლის პიროვნული და ფსიქო–სოციალური განვითარების საფუძველია. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე** - საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში სკოლამ შუალედურ მიზნად წარმოადგინა კომპლექსური დავალება, თუმცა არა ყველა თემასთან მიმართებაში, რაც აიხსნება იმ ფაქტით რომ სწავლა-სწავლების პროცესი აქტიური პროცესია და შესაძლებელია კომპლექსური დავალების დაგეგმვა ეტაპობრივად. სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს თან ახლდა მატრიცები და შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკები სწორად იყო გაანალიზებული თემასთან და საკითხთან მიმართებაში. შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს. სხვა თემებთან მიმართებაში სადაც სკოლას არ აქვს დაგეგმილი კომპლექსური დავალების განხორციელბა გამოიყენება 3 კომპონენტიანი შეფასება. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ აღნიშნული შეფასებისას დაეყრდნობიან გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;** - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინტერვიუს გზით გამოვლინდა დადებითი პრაქტიკა, რომ მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს, აზუსტებენ ნამდვილად გაიგო თუ არა მოსწავლემ დავალების პირობა და ის თუ როგორ შეფასდება. შეფასების რუბრიკების შედგენაში თავიანთ აზრს აფიქსირებენ მოსწავლეებიც. მათ უნდა იცოდნენ რა კრიტერიუმებით შეფასდებიან. რუბრიკების შექმნისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას/დახვეწას და გამოყენებას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სასწავლო შედეგების

გასაუმჯობესებლად, პრობლემების იდენტიფიცირებისა და შემდგომი პროცესების დაგეგმვისთვის. მასწავლებლები გააგრძელებენ მუშაობას შეფასების მეთოდოლოგიაზე, შეფასების კრიტერიუმებზე. გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, დააკვირდებიან და გამოკვეთენ, რომელ შედეგს მიემართება შეფასება. შესაბამისად, შეფასება გახდება უფრო ვალიდური. მოსწავლეებს წინასწარ ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ამ მიმართულებით, **სპორტის კათედრას მიეცა რჩევა:** ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის დახვეწის მიზნით, კათედრამ შეიმუშავოს მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, მაგალითად, სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმენტებიდან ერთ-ერთი. აღნიშნული მეტად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი -** სკოლას 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ ამ მექანიზმზე მუშაობა კვლავ მიმდინარეობს და სასწავლო წლის განმავლობაში დაიხვეწება. შეფასების სისტემის გამართულობის მიზნით სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარების, შეფასებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. რომელიც ამოწმებს მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასების სანდოობას, ვალიდურობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. ამ ეტაპზე სასწავლო პროცესის შეფასება მუდმივად ხორციელდება კათედრის სხდომებზე, განიხილება შეფასების სისტემის (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; მსჯელობენ მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დავალებიდან დავალებამდე. დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება (დახვეწა, უფრო მყარი შეთანხმება შეფასების კომპონენტთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით). **ინდიკატორი შესაბამისია.**

**6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით -** სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. მოსწავლის პირად საქმეში შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და საჭიროების შემთხვევაში ექსტერნატზე ინფორმაცია. ხდება ელექტრონული ჟურნლის წარმოება. შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, მტკიცებულებებს მასწავლებლები გადასცემენ კათედრას, რომელიც აწარმოებს მათ აღრიცხვას და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად. რაც შეეხება შემაჯამებელ დავალებებს, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, გაირკვა რომ სკოლა აწარმოებს შემაჯამებელი დავალების შეფასების ანალიზს, მათ აქვთ თითოეული მოსწავლის ნაშრომი შენახული გარკვეული დროის განმავლობაში. ხოლო სამომავლოდ სკოლა უზრუნველყოფს ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი/წესი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მოსწავლეების პირადი საქმეები.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო** - სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას, კერძოდ როგორც სასკოლო ასევე საკლასო გარემო ყველა მოსწავლისათვის არის პოზიტიური, თანამშრომლობითი და მეგობრული. საბაზო საფეხურის მასწავლებლები მომავალში გეგმავენ უფრო მრავალფეროვან აქტივობებს და პროექტებს (მაგალითად: პროექტი -„16 ნოემბერი ტოლერანტობის დღე", პროექტი -"ჩვენ და წიგნები", პროექტი -„მშობლებთან ერთად", პროექტი - „ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონი", პროექტისათვის ვიდეორგოლის გადაღება: "ასე ნანატრი თავისუფლება" და სხვა), რაც დაეხმარება მოსწავლეებს მხარდამჭერი და მიმღებლობითი უნარების განვითარებაში, სასწავლო პროცესი კი უფრო პოზიტიური და მეგობრული იქნება. სკოლის თვითშეფასების ფორმაში განხილულია თანამშრომლობითი გარემოს მაგალითები, კათედრებზე, სკოლაში არსებულ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის, შემუშავებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, საგნობრივ ოქმებში განსაზღვრული პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის სრულყოფა, შესაბამისად კომპლექსური დავალების განხორციელებისას საჭირო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის, მასწავლებლის მიერ გაცემული უკუკავშირი კი ხელს უწყობს მიმღებლობით და მხარდამჭერი გარემოს შექმნას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

**2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად** - საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული თემები, კომპლექსური დავალებების იდეები, მრავალფეროვანი საგნობრივი საკითხები მიუთითებს რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, ამავე დროს სასწავლო პროცესი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნული განვითარებაზე. რაც გვაძლევს დასკვნის საფუძველს რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. **ინდიკატორი შეესაბამება.**

**3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას** - პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი) ანალიზით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია) და კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. **ინდიკატორი შეესაბამება.**

**4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე** - სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, რაზეც მოწმობს სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი და დიფერენცირებული მიდგომების მაგალითები, მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა ინფორმაცია სასკოლო საზოგადოების სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობის შესახებ, მოსწავლეთა განვითარებისთვის სკოლაში არსებობს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფიზიკური გარემო, დაცულია უსაფრთხოება (როგორც ფიზიკური, ასევე სოციალურ-ემოციური). მრავალფეროვანი აქტივობები ეძღვნება ინტერპერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. სკოლა გეგმავს მოსწავლეებმა მეტად მიიღონ მონაწილეობა სასკოლო და საკლასო გარემოს გაუმჯობესებაში, რაც სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდას გაზრდის. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის შინაგანაწესი;ქმეები;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის მშობლების თანხმობა გასაჯაროებაზე;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის გაკვეთილზე დასწრების განრიგი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საგნობრივიკათედრების ანგარიეზში.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად** - სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და მასწავლებლებთან, დირექციასთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლა იმუშავებს ამ მიმართულებით და დოკუმენტში ასახავს, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, ასევე ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის. მასწავლებლის პედაგოგიკური საჭიროებების დადგენა მოხდება პედაგოგიკური პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტზე დაფუძნებით. მიღებული შედეგებზე დაყრდნობით მონაცემების დამუშავება იგეგმება საგნობრივი კათედრების პედაგოგებისა და სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. **ინდიკატორი შეესაბამება.**
2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

და დახმარებას. შესაბამისად ხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, პროცესი წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ასევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. მონიტორინგი და შეფასება მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება.**

**3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას** - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და პედაგოგებთან, დირექციასთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს ის ფაქტი, რომ დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული უნდა იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შემუშავებული აქვს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვა და ასახულია კურიკულუმში. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს** - მოსწავლეების შეფასება ხდება პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისას. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს მრავალფეროვანი წყაროები და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. სკოლა იყენებს როგორც ადმინისტრაციის მხრიდან გაკვეთილზე დასწრებას, ასევე მასწავლებელთა ურთიერთდასწრების პრაქტიკას, რაზეც მოწმობს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. სკოლა იყენებს უკუკავშირის ფორმას მოსწავლეებისგან, ინფორმაციის მიღებას მშობლისგან, დამრიგებლისგან. შესაბამისი დანართებით დგინდება, რომ მასწავლებლები აწარმოებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, რომელთაც აწვდიან მშობლებს ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით** - სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასებას განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მაგალითად, მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. პედაგოგები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით. ამ პროცესში აუცილებლია კონტექსტის გათვალისიწნება, ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. **შეფასებსას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები** - სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მისაღებად შეფასებისას სკოლაში გათვალისწინებულია საკლასო, საშინაო, ასევე შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზების აღრიცხვა და საბოლოო განმსაზღვრელი შეფასების გაწერა თითოეული მოსწავლისათვის, სამივე დავალების მონაცემების და შედეგების გათვალისწინებით, რომელიც ხორციელდება შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

რომ შეფასებისას მონაცემთა შეგროვებისათვის, მასწავლებლები მიმართავენ მოსწავლეებზე დაკვირვებას, კლასის საათზე მოსწავლეთა გამოკითხვას, მშობელთა კრებებზე პრობლემური საკითხების განხილვას. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით** - სკოლის პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის სასწავლო შედეგებთან დაკავშირებით და სხვ. 2023 – 2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, სკოლაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი** - სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას და სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი:„კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.“ საშუალოი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღნიშნული იყო, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია განხორციელდება კათედრის სხდომებზე, სადაც წევრები გაცვლიან კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ მონაცემსა და გამოცდილებას, გამოიკვეთება კურიკულუმის პროდუქტიულობა და ხარვეზები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიქმნება რეკომენდაციების პაკეტი მომდევნო წლისთვის წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის და დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს** - როგორც სკოლა თვითშეფასების ფორმაში მიუთითებს ახალი სასწავლო წლისათვის, კურიკულუმების დამტკიცებას წინ უძღვის წინა / მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ პედაგოგები საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის ციკლური ბუნება და იცის, როგორ გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება. გადამუშავებელი კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება საკუთარი და კოლეგების გამოცდილება. **ინდიკატორი შესაბამისია**.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------------
------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

-

13 ნოემბერი 2023 წელი
მაკა ნადარეიშვილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------------

------------------------